ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №45

30.06.2020 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
4. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
5. დავით რურუა - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „სატრანსპორტო კომპანიას" შორის „თბილისის მეტროს პროექტთან" დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ" (12-032016481-03; 12.06.2020);

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" (12-032016792-03; 15.06.2020).

სხდომას თავმჯდომარეობდა - თედო ისაკაძე.

მომხსენებელი:

- **დავით ჯაიანი** - სსიპ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს" უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „სატრანსპორტო კომპანიას" შორის „თბილისის მეტროს პროექტთან" დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ (12-032016481-03; 12.06.2020):

თ.ისაკაძე - საკითხების წარმომდგენს ვთხოვ გაგვაცნოს დღის წესრიგით გათვალისწინებული პროექტები.

დ.ჯაიანი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას უნდა მიეცეს თანხმობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის „თბილისის მეტროს პროექტთან“ დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის № 20.595.747 განკარგულების თანახმად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო შეთანხმების პირობების გათვალისწინებით, გადასცემს თბილისის მუნიციპალიტეტს სასესხო შეთანხმებით საქართველოსთვის გათვალისწინებულ თანხას 75 000 000 ევროს სესხის სახით სასესხო შეთანხმებით, რომელიც მიზნად ისახავს დედაქალაქში მიმდინარე სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში თბილისის მეტროპოლიტენისათვის მოძრავი შემადგენლობის შეძენას და მეტროს დეპოს მშენებლობა/რეკონსტრუქციას და რეკონსტრუქციას.

60 000 000 ევრო გადანაწილდება თბილისის მეტროპოლიტენისათვის მოძრავი შემადგენლობის (10 ცალი 4 ვაგონიანი შემადგენლობა) შეძენაში.

10 000 000 ევრო გადანაწილდება მეტროს ნაძალადევის დეპოს მშენებლობა/რეკონსტრუქციისათვის, ხოლო 5 000 000 ევრო საბურთალოს და ვაგზლის მოედნის ხაზის შემაერთებელი გვირაბის რეაბილიტაციაზე.

თ. ისაკაძე - პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია დედაქალაქისთვის.

შ. ოგბაიძე - თუ არის ცნობილი პროექტის განხორციელების ვადები.

დ. ჯაიანი - როდესაც ფორმალური საკითხები მზად იქნება, გამოცხადდება ტენდერი EBRD - ის წესების მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „სატრანსპორტო კომპანიას“ შორის „თბილისის მეტროს პროექტთან“ დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032016481-03; 12.06.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (12-032016792-03; 15.06.2020):

დ.ჯაიანი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში. კერძოდ:

აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, მუნიციპალური განვითარების ფონდსა და საერთაშორისო კომპანია Ramboll-ს შორის 2019 წლის 15 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის (SUMP) შემუშავებასთან დაკავშირებით, რომლის ბენეფიციარი არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

პროექტის ფარგლებში, დასრულდა მონაცემების შეგროვების ეტაპი, რამაც ქალაქის სრული სატრანსპორტო მოდელის შემუშავების შესაძლებლობა მისცა. SUMP-ის გუნდი სხვა სატრანსპორტო მიმართულებასთან ერთად მუშაობს საბაგიროს ხაზების კონცეფციაზე, რომელიც ითვალისწინებს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოდგენილი საბაგიროს ხაზებისა და „გეოგრაფიკის“ კვლევის მიხედვით, ურბანული ტრანსპორტის განვითარებისთვის ალტერნატიული ხედვის შესაძლებლობას. აღნიშნულმა კვლევებმა გამოავლინა დიდი რაოდენობით, საბაგირო დერეფნების განვითარების პოტენციური არეალები, რომელთა ნაწილი გათვლილია ტურისტულ, სამგზავრო და ასევე, კომბინირებულ დატვირთვაზე. შეჯამების შედეგად გამოიკვეთა 20 დერეფანი, რაც არარეალისტური რაოდენობაა SUMP-ის მოქმედების დროის შუალედისთვის.

SUMP-მა გაითვალისწინა კონსულტანტების ჩატარებული ანალიზი (არაპირდაპირი მონაცემები) და ასევე მათ მიერ ჩატარებულ პირდაპირ ანალიზსა და დამატებით მოსაზრებებზე დაყრდნობით (მაგ. TOD კვანძების განვითარება)

მუნიციპალიტეტს შესთავაზა ურბანული მობილობის განვითარების გეგმის შესაბამისად, მომდევნო 20 წლის პერიოდისთვის რელევანტური საბაგიროების რაოდენობა და შესაბამისი დერეფნები. SUMP-ის რეკომენდაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის არის ის რომ მოკლევადიან პერსპექტივაში შერჩეულ იქნას ისეთი დერეფნები, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი პოტენციალი საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით (მგზავრთ-ტევადობა, შეკავშირებულობა) და ნაკლები ტექნიკური სირთულეები. ასეთი მახასიათებლებით შერჩეულ იქნა 7 პერსპექტიული საბაგირო დერეფანი:

- სამგორი (ან ისანი) - ვაზისუბანი;
- სარაჯიშვილი - ზღვისუბანი;
- დიდუბე - ვაშლიჯვარი - ნუცუბიძე;
- სადგურის მოედანი - ლოტკინი - ვაზისუბანი;
- სამგორი (ან ისანი) – „დირსი";
- ახმეტელის თეატრი - ზღვის უბანი;
- ვაჟა-ფშაველა - ნუცუბიძე.

მოცემულ არეალებს თან ახლავს სხვადასხვა პირობა, რამაც უნდა გაზარდოს მათი პოტენციალი, რის გარეშეც ეს ხაზები მიმზიდველი არ იქნება მგზავრთა გადაყვანის თვალსაზრისით. ანალიზის შედეგად, შემოთავაზებული დერეფნებიდან, გამოიკვეთა <u>სარაჯიშვილი-ზღვისუბნისა და სამგორი ვაზისუბნის</u> მონაკვეთები, რომელთა განვითარებაც არ არის დაკავშირებული სხვადასხვა მოდიფიკაციებსა და ტექნიკურ სირთულეებთან.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, ცვლილება მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ითვალისწინებს სარაჯიშვილი-ზღვისუბნისა და სამგორი-ვაზისუბნის ხაზების, როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების თვალსაზრისით ყველაზე პერსპექტიული დერეფანების დატოვებას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ვმუშაობთ დაფინანსების მოპოვების საკითხზე, ამ ორ ვარიანტზე შეჯერება არ ნიშნავს, რომ არ განიხილება და არ განხორციელდება სხვა პროექტები, გაგრძელდება შესაბამისი მუშაობა ამ მიმართულებით.

მ. ამაშუკელი - არის თუ არა ან იქნება თუ არა გათვალისწინებული ,,სადგურის მოედანი - ლოტკინი"-ს საბაგიროს დერეფანი.

დ. ჯაიანი - შერჩეულ 7 პერსპექტიული საბაგირო დერეფნის სიაში საუბარია ,,სადგურის მოედანი - ლოტკინი - ვაზისუბანი" დერეფანზეც, თუმცა, ამ

კონკრეტულ ეტაპზე ვსაუბრობთ მხოლოდ სარაჯიშვილი-ზღვისუბნისა და სამგორი-ვაზისუბნის მონაკვეთებზე.

თ. ისაკაძე - ეს არის მნიშვნელოვანი პროექტი, სადაც მთავარი აქცენტი გაკეთებულია მგზავრთა გადაყვანაზე. დღეს წარმოდგენილი და ჩვენს მიერ განხილული ორივე პროექტი უაღრესად მნიშვნელოვანია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032016792-03; 15.06.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე